საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-717

29/08/2018

ქ. თბილისი

გორის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარხითის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი, რომ სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარხითის მიმდებარედ, ქ. გორიდან 12-13 კმ- ში. მანძილი უახლოესი საავტომობილო გზიდან 15 მეტრზე მეტია. ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმეა 50 მეტრი. მოსაპოვებელი რესურსის ოდენობა შეადგენს 200 000 $მ^3$-ს წელიწადში.

წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად აღნიშნული ჰორიზონტის წყლები ხასიათდებიან ქიმიური შედგენილობის დიდი ცვალებადობით. მათი სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. აღნიშნული მიწისქვეშა წყლების გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით.

სალიცენზიო ჭაბურღილების ზუსტი დებიტი უცნობია, მაგრამ მოთხოვნილი 200 000 $მ^3$ წელიწადში რაოდენობის წყლის მიღება შესაძლებელია. წიაღით სარგებლობა დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური პროცესების გააქტიურებას.

ტერიტორია შესწავლილია კომპლექსური ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვის მიზნით. სალიცენზიო ჭაბურღილი მდებარეობს ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტი მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

გეოსაინფორმაციო პაკეტში წარმოდგენილი დასკვნის თანახმად ჭაბურღილი საჭიროებს შემოღობვას, თავმორთულობის მოწყობას და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას.

აღნიშნული მიწისქვეშა მტკნარი წყლის ჭაბურღილი წარმოადგენს არსებულ ობიექტებს, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა პოტენციური დაბინძურების წყარო არ არსებობს, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

რადგანაც ტერიტორია წარმოადგენს უკვე ათვისებულს, გამომდინარე აქედან ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აღნიშნული მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას.

ჭაბურღილის მიწისზედა ინფრასტრუქტურის (ჭაბურღილის თავმორთულობა) რეაბილიტაციის ეტაპზე ადგილი ექნება მცირე რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნას, თუმცა ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის და ნარჩენების რაოდენობის გათვალისწინებით ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ასევე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ხმაურის წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

აღნიშნული საქმიანობა არ უკავშირდება რაიმე სახის მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკს. საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეების ძეგლი.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე- 3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ წარმოდგენილი გორის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარხითის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გორის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის

ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი